

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
განკარგულების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში, მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზეც ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებებს და წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან;
- გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- დ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;
- ვ) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

თ) ამ კანონის მე-6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

მოცემული ნორმების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ანგარიშის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 708 750,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 650 587,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,8 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 596 100,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 627 751,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 105,3 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024 წლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 97,1 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 575 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 609 385,6 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს გეგმის 106,0 პროცენტს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 21 100,0 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 18 366,0 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს გეგმის 87,0 პროცენტს.

ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 112 650,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 22 835,5 ათას ლარს, რაც წარმოადგენს გეგმის 20,3 პროცენტს. საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება, სამინისტროს მიერ განსაკარგად გათვალისწინებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, რომლებიც არ შედგა განაცხადების შემოუსვლელობის გამო. საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 797,2 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22 038,3 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა 764 700,2 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტობრივი დაფინანსება კი 663 340,0 ათას ლარს, რაც გეგმის 86,7 პროცენტს შეადგენს.

დეტალური ანგარიში უწყებებისა და პროგრამების მიხედვით წარმოდგენილია წერილობითი დოკუმენტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

განკარგულების პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით და საშემოსავლო ნაწილზე.

პროექტის განხორციელების ვადები

განკარგულების პროექტის მიღების კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული, მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი მიღება შემჭდროვებულ ვადებში.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

განკარგულების პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება
განკარგულების პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

განკარგულების პროექტის ავტორი და წარმდგენია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.